საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 543

2023 წლის 29 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2023 წლის 29 მარტის N MES 0 23 0000353621 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის წევრის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის - ბადრი სირაბიძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (მ. ხაჯიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

2037-02-2-202303311909
https://edocument.ge/AdjaraGov/public